



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1691  
19/09/2018

ქალაქი ბათუმი

1691-05-4-201809191134



**ააიპ აჭარის „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე კონსტრუქციით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის და შემდგომში მეურნეობების განვითარებისათვის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 06 სექტემბრის №2598-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **გბრძანებ:**

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ააიპ აჭარის „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-2018 წლის პროგრამის ფარგლებში სასათბურე კონსტრუქციით უზრუნველყოფილი ბენეფიციარისთვის სათბურის საძირკვლის მოწყობისათვის და შემდგომში მეურნეობების განვითარებისათვის დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) რამაზ ვერძაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;
- დ) თამაზ ხაბაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ე) ზვია ბერიძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა